სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

11 იანვარი 2024

N 7/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ონის მუნიციპალიტეტში, მდინარე ჯეჯორაზე შპს „განახლებადი ენერგიის რეგიონალური კომპანიის“ 15,23 მგვტ. სიმძლავრის „სორგითი 1“ და 15,56 მგვტ. სიმძლავრის „სორგითი 2“ ჰესების კასკადისა და 110 კვ ძაბვის ქვესადგურების მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის 22-ე პუნქტის და II დანართის 3.4 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

- გაიცეს, ონის მუნიციპალიტეტში, მდინარე ჯეჯორაზე შპს „განახლებადი ენერგიის რეგიონალური კომპანიის“ 15,23 მგვტ. სიმძლავრის „სორგითი 1“ და 15,56 მგვტ. სიმძლავრის „სორგითი 2“ ჰესების კასკადისა და 110 კვ ძაბვის ქვესადგურების მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N2;
- შპს „განახლებადი ენერგიის რეგიონალური კომპანია“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N2 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
- ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „განახლებადი ენერგიის რეგიონალურ კომპანიას“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
- ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „განახლებადი ენერგიის რეგიონალური კომპანიის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
- ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში, სკოპინგის დასკვნა განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე ონის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
- ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო